

ხელშეკრულება № 2020/31
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(ელექტრონული ტენდერი NAT200000361)

ქ. თბილისი

თებერვალი 2020 წ.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, შემდგომში წოდებული „შემსყიდველი N1“, წარმოდგენილი ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის (საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 1 მარტის N75 ბრძანება) **ნინო გუგენიშვილის** სახით, **სპეციალური პენიტენციური სამსახური**, შემდგომში წოდებული „შემსყიდველი N2“ წარმოდგენილი ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის **იულია ტყემელაშვილის** სახით, სსიპ „**იუსტიციის სახლი**“, შემდგომში წოდებული „შემსყიდველი N3“, წარმოდგენილი აღმასრულებელი დირექტორის მოადგილის (ფინანსების დირექტორი) **ავთანდილ კობრეიძის** სახით, სსიპ „**საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო**“, შემდგომში წოდებული „შემსყიდველი N4“, წარმოდგენილი შესყიდვების სამსახურის უფროსის **ვახტანგ შავგულიძის** სახით, სსიპ „**სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო**“, შემდგომში წოდებული „შემსყიდველი N5“, წარმოდგენილი სააგენტოს მხარდაჭერის დეპარტამენტის დირექტორის **ნინო ინწკირველის** სახით, სსიპ „**საქართველოს ეროვნული არქივი**“, შემდგომში წოდებული „შემსყიდველი N6“, წარმოდგენილი გენერალური დირექტორის **თეონა იაშვილის** სახით, სსიპ „**დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო**“ შემდგომში წოდებული „შემსყიდველი N7“, წარმოდგენილი სააგენტოს უფროსის მოადგილის **კობა ხუბუნაიას** სახით, სსიპ „**აღსრულების ეროვნული ბიურო**“, შემდგომში წოდებული „შემსყიდველი N8“, წარმოდგენილი ეკონომიკური სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის **თამარ ყუფარაძის** სახით, სსიპ „**საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი**“, შემდგომში წოდებული „შემსყიდველი N9“, წარმოდგენილი დირექტორის **ხათუნა კასრაძის** სახით, სსიპ „**სმართ ლოჯიკი**“, შემდგომში წოდებული „შემსყიდველი N10“, წარმოდგენილი დირექტორის **გიორგი მეყლუმიანის** სახით ყველა ერთად წოდებული როგორც „შემსყიდველი“ და **შპს „დი დი ბი ჯორჯია“**, შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად“, წარმოდგენილი დირექტორის **დავით ჯაშის** სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- 1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
- 1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
- 1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.
- 1.4. „შემსყიდველი“ - პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
- 1.5. „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.
- 1.6. „მომსახურება“ - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.
- 1.7. „ინსპექტირება“ - ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი და ზედამხედველობა.

2. ხელშეკრულების საგანი

სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურებები (CPV -79340000)

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **181,124.00** (ას ოთხმოცდაერთი ათას ას ოცდაოთხი) ლარს.

3.2. გასაწევი მომსახურების ღირებულება განისაზღვრება დანართის „ფასების ცხრილის“ შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3.3. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.4. შემსყიდველი იტოვებს უფლებას სრულად არ აითვისოს ხელშეკრულების დანართით „ფასების ცხრილით“ გათვალისწინებული მომსახურების მოცულობა.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების გაწევა ყოველდღიურად, ხოლო შაბათ-კვირას შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში ხელშეკრულების გაფორმებიდან 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით თითოეული შემსყიდველისათვის, გარდა სსიპ „სმართლოჯიქისა“, რომლისთვისაც მომსახურების გაწევა უნდა მოხდეს 2020 წლის 1 მარტიდან 2020 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით ყოველდღიურად, ხოლო შაბათ-კვირას შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში, დანართების „ფასების ცხრილისა“ და „ტექნიკური დავალების“ შესაბამისად;

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ინსპექტირების განხორციელება;

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. ინსპექტირება

5.1. თითოეული შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს ინსპექტირება, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს/პირებს, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მას/მათ ინსპექტირების განხორციელების დროს.

5.2. ინსპექტირებას განახორციელებენ:

ა) შემსყიდველი N1-ის მხრიდან საქართველოს იუსტიციის სამინისტროს პრესასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - ერეკლე ამაშუკელი ან/და ამავე დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტი მარიამ ჯორბენამე, ეკონომიკური დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი სპეციალისტები - ზაზა გურასპაშვილი და მარი მათურაძე, რომლებიც უფლებამოსილები არიან ინსპექტირება განახორციელონ როგორც ინდივიდუალურად, ასევე ერთობლივად.

ბ) შემსყიდველი N2-ის მხრიდან სპეციალური პენიტენციური სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის საზოგადოებასთან და მასმედიასთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსი, ნათელა გედენიძე.

გ) შემსყიდველი N3-ის მხრიდან სსიპ „იუსტიციის სახლის“ მარკეტინგისა და მომსახურების განვითარების სამსახურის მრჩეველი დარეჯან მალაღურიძე.

დ) შემსყიდველი N4-ის მხრიდან სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი ან მისი მოვალეობის შემსრულებელი.

ე) შემსყიდველი N5-ის მხრიდან სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ მარკეტინგული კომუნიკაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი, სოფიო ტორჩინავა.

ვ) შემსყიდველი N6-ის მხრიდან სსიპ „საქართველოს ეროვნული არქივის“ საზოგადოებასა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი მოვალეობის შემსრულებელი, სოფიო ჯობავა.

ზ) შემსყიდველი N7-ის მხრიდან სსიპ „დანამაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს“ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის სპეციალისტი, ანა ნაცვლიშვილი.

თ) შემსყიდველი N8-ის მხრიდან სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიუროს“ სერვისებისა და ბრენდის განვითარების სამსახურის მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, პაატა შამუგია, ხოლო მისი არ ყოფნის შემთხვევაში ზემოაღნიშნული სამსახურის თანამშრომელი.

ი) შემსყიდველი N9-ის მხრიდან სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის“ სოციალური ქსელების მართვის მენეჯერი ან/და მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი ან/და ლოჯისტიკის კოორდინატორი ან/და ლოჯისტიკის სპეციალისტი, რომლებიც უფლებამოსილები არიან ინსპექტირება განახორციელონ როგორც ინდივიდუალურად, ასევე ერთობლივად.

კ) შემსყიდველი N10-ის მხრიდან სსიპ „სმართ ლოჯიკის“ სოციალური მედიის მენეჯერი.

5.3. შემსყიდველის მიერ ინსპექტირება განხორციელდება ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

5.4. შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნი გაწეულ მომსახურებაში, მიმწოდებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ (არაუგვიანეს იმავე დღისა) გამოასწოროს წუნი.

6. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება ყოველი თვის დასრულების შემდეგ, წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით, ინსპექტირების განმახორციელებელი პირის/პირების დადებითი დასკვნის საფუძველზე.

7. ანგარიშსწორება

7.1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

7.2. მიმწოდებლის გაწეული მომსახურების ღირებულების ანგარიშსწორებას განახორციელებენ:

ა) საქართველოს იუსტიციის სამინისტრო 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან, არაუმეტეს 18,856.00 ლარის ფარგლებში.

ბ) სპეციალური პენიტენციური სამსახური 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან არაუმეტეს 18,856.00 ლარის ფარგლებში.

გ) სსიპ „იუსტიციის სახლი“ საკუთარი შემოსავლებიდან არაუმეტეს 18,856.00 ლარის ფარგლებში.

დ) სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო“ საკუთარი შემოსავლებიდან არაუმეტეს 18,856.00 ლარის ფარგლებში.

ე) „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო“ საკუთარი შემოსავლებიდან არაუმეტეს 18,856.00 ლარის ფარგლებში.

ვ) სსიპ „საქართველოს ეროვნული არქივი“ საკუთარი შემოსავლებიდან არაუმეტეს 18,856.00 ლარის ფარგლებში.

ზ) სსიპ „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო“ 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან, არაუმეტეს 18,856.00 ლარის ფარგლებში.

თ) სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიურო“ საკუთარი შემოსავლებიდან არაუმეტეს 18,856.00 ლარის ფარგლებში.

ი) სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი“ საკუთარი შემოსავლებიდან არაუმეტეს 18,856.00 ლარის ფარგლებში.

კ) სსიპ „სმართ ლოჯიკი“ საკუთარი შემოსავლებიდან, არაუმეტეს 11,420.00 ლარის ფარგლებში.

7.3. თითოეული შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული მომსახურების ღირებულება, წინამდებარე ხელშეკრულების 7.2 პუნქტის შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საგადასახადო ანგარიშფაქტურის წარმოდგენიდან 15 (თხუთმეტი) დღის განმავლობაში, მაგრამ არაუგვიანეს 2020 წლის 31 დეკემბრისა. თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

7.4. თებერვლის თვის ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად.

7.5. შემსყიდველი უფლებამოსილია დაკისრებული პირგასამტეხლოს თანხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დააკავოს მიმწოდებლისთვის გადასარიცხი თანხიდან.

8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუზიაროს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-10 მუხლის შესაბამისად.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1. წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ერთეულ დარღვევაზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

9.2. წინამდებარე ხელშეკრულების 5.4 პუნქტით გათვალისწინებული პირობის დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

9.3. წინამდებარე ხელშეკრულების 7.3 პუნქტით განსაზღვრული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.02%-ის ოდენობით.

9.4. თუ ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობა აღემატება 10 დღეს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ის ოდენობით.

9.5. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით, ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

10.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11. დავების გადაწყვეტა

11.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგინილი წესის შესაბამისად მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგინილ სხვა შემთხვევებში.

12.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.3. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულებაზე ბოლო ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2021 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

14. ფორს-მაჟორი

14.1. წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

14.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

15. სხვა პირობები

ხელშეკრულება ფაქტობრივი ხელმოწერის შემთხვევაში შედგენილია 12 (თორმეტი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო თერთმეტი - შემსყიდველს.

16. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი N1:

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო,
წარმოდგენილი ეკონომიკური დეპარტამენტის
უფროსის მოვალეობის შემსრულებლის
ნინო გუგენიშვილის სახით,
მისამართი: ქ.თბილისი, გორგასლის ქ. N24ა,
ტელეფონი: 240-59-37,
საბანკო რეკვიზიტები: ანგ.
NGE24NB0330100200165022,
სახელმწიფო ხაზინა კოდი: TRESGE22,
სკ – 203845349

მიმწოდებელი:

შპს „დი დი ბი ჯორჯია“,
წარმოდგენილი
დირექტორის დავით ჯაშის სახით,
მისამართი: ქ. თბილისი ჭავჭავაძის N80,
ტელეფონი: 595-54-52-42,
საბანკო რეკვიზიტები:
ანგ. №GE69TB7399336020100004,
სს „თიბისი ბანკი“, კოდი: TBCBGE22,
სკ - 404956794

შემსყიდველი N2:

სპეციალური პენიტენციური სამსახური
წარმოდგენილი
ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის
იულია ტყეშელაშვილის სახით,
მისამართი: ქ. თბილისი, ზურაბ ანჯაფარიძის ქ. N 27
ტელეფონი: 2 312747,
საბანკო რეკვიზიტები: ანგ.
№GE24NB0330100200165022,
სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22,
სკ - 205360223

შემსყიდველი N4:

სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო“,
წარმოდგენილი შესყიდვების სამსახურის უფროსის
ვახტანგ შავგულიძის
მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. №2,
ტელეფონი: 2 91 05 17,
საბანკო რეკვიზიტები:
ანგ. №GE24NB0330100200165022,
სახაზინო კოდი: 707427078
სახელმწიფო ხაზინა, კოდი:TRESGE22,
სკ - 202238621

შემსყიდველი N6:

სსიპ „საქართველოს ეროვნული არქივი“,
წარმოდგენილი გენერალური დირექტორის
თეონა იაშვილის სახით,
მისამართი: ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზ. №1,
ტელეფონი: 2-38-14-25,
საბანკო რეკვიზიტები:
ანგ. №GE24NB0330100200165022,
სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22,
სკ - 211358957

შემსყიდველი N3:

სსიპ „იუსტიციის სახლი“,
წარმოდგენილი აღმასრულებელი დირექტორის
მოადგილის (ფინანსების დირექტორი) ავთანდილ
კობრიძის სახით,
მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ.2,
ტელეფონი: 2 405 405,
სახელმწიფო ხაზინა: ანგ. №707467520,
სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22,
სკ - 204580202

შემსყიდველი N5:

სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების
სააგენტო“,
წარმოდგენილი სააგენტოს მხარდაჭერის
დეპარტამენტის დირექტორის
ნინო ინწვირველის სახით,
მისამართი: ქ. თბილისი, აკ.წერეთლის გამზ. N67ა
ტელეფონი: 2 40 10 10-3114
საბანკო რეკვიზიტები:
ანგ. №GE24NB0330100200165022,
სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22,
სკ - 202307404

შემსყიდველი N7:

სსიპ „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო
სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული
სააგენტო“
წარმოდგენილი სააგენტოს უფროსის მოადგილის
კობა ხუბუნაიას სახით,
მისამართი: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. N42
ტელეფონი: 2303012,
საბანკო რეკვიზიტები: ანგ.
№GE24NB0330100200165022,
სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22
სკ - 205390511

შემსყიდველი N8:

სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიურო“,
წარმოდგენილი ეკონომიკური სამსახურის
უფროსის მოვალეობის შემსრულებლის
თამარ ყუფარაძის სახით
მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის
ხეივანი მე-10კმ,
ტელეფონი: 2 72 11 18
საბანკო რეკვიზიტები:
ანგ. №707453459,
სახელმწიფო ხაზინა, კოდი:TRESGE22
სკ - 205263873

შემსყიდველი N9:

სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი“,
წარმოდგენილი დირექტორის
ხათუნა კასრაძის სახით,
მისამართი: ქ. თბილისი, ა. პოლიტკოვსკაიას N1,
ტელეფონი: 294-22-48
საბანკო რეკვიზიტები:
ანგ. №200122900,
სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22,
სკ - 204423230

შემსყიდველი N10:

სსიპ „სმართ ლოჯიქი“
წარმოდგენილი დირექტორის
გიორგი მეულუმიანის სახით,
მისამართი: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №24ა,
ტელეფონი: 240 51 60,,
საბანკო რეკვიზიტები: ანგ.
№GE24NB0330100200165022,,
სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22
სკ - 206350599



ტექნიკური დავალება

შპს „დი დი ბი ჯორჯია“ განახორციელებს იუსტიციის სამინისტროსა და მის სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისათვის „სპეციალური პენიტენციური სამსახური“, სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო“, სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო“, სსიპ „იუსტიციის სახლი“, სსიპ „საქართველოს ეროვნული არქივი“, სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიურო“, სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი“, სსიპ „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო“, სსიპ „სმართლოჯიქი“, სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურების გაწევას სოციალურ ქსელ Facebook-ში. სრულ კომუნიკაციის მართვას, სადაც საქართველოს მასშტაბით 1'800'000- ზე მეტი რეგისტრირებული მომხმარებელია, აღნიშნული სოც. ქსელი იძლევა საჯაროდ და დახურულ (პირადი) კომუნიკაციის საშუალებას, აქვს მომხმარებლების ადგილმდებარეობის, დემოგრაფიული მონაცემების, ინტერესების და ა.შ. კრიტერიუმების მიხედვით ფილტრაციის შესაძლებლობას. შემოთავაზებული სოციალური ქსელი უნდა იძლეოდეს ინფორმაციის რეკლამის საშუალებას, რათა უფრო იოლი იყოს სამიზნე აუდიტორიასთან წვდომა, ხოლო მომსახურების გაწევა განხორციელდება, შემსყიდველის მიერ წინასწარ განსაზღვრულ გვერდზე (page).

მომსახურების ფარგლებში შპს „დი დი ბი ჯორჯია“ განახორციელებს შემდეგ მომსახურებას ყოველდღიურად, ხოლო შაბათ-კვირას შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში:

შპს დი დი ბი ჯორჯია განახორციელებს, სწორი სტრატეგიის შემუშავებას, ინფორმაციის გაანალიზებასა და პოსტების სტრატეგიულად დაგეგმვას, რათა შეიქმნას აქტიური მომხმარებლების გუნდი კამპანიის ფარგლებში; ასევე განახორციელებს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და მისი მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების (სსიპ იუსტიციის სახლი; სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო; სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო; სსიპ საქართველოს ეროვნული არქივი; სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო; სსიპ საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი; სსიპ დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო; სპეციალური პენიტენციური სამსახური; სმართლოჯიქი) საქმიანობის ამსახველ ეფექტურ კონტენტის შექმნას: წარწერები, დიზაინი (ბანერები, ბარათები, GIF-ები):

შპს დი დი ბი ჯორჯია განახორციელებს:

- სოციალურ მედიაში კამპანიის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებას
- ახალი ტრენდების ანალიზსა და კამპანიაზე მორგებას.
- რეკლამების მართვას, სწორ ტარგეტირებას, სეგმენტაციას, ოპტიმიზაციას და რემარკეტინგს;
- სოციალური ქსელის თითოეულ გვერდზე უზრუნველყოფს ყოველკვირეულად 2-5 პოსტის განთავსებას. შემსყიდველს აქვს უფლება თავად განსაზღვროს პოსტების ზუსტი რაოდენობა კვირის მანძილზე.
- ყოველდღიურ რეჟიმში (09:00 საათიდან 18:00 საათამდე, გამონაკლის შემთხვევებში 23:00 საათამდე), თითოეულ გვერდზე პასუხისმგებელი თანამშრომლის მიერ, სოციალურ ქსელში შემოსული კომენტარებისა და შეტყობინებების მონიტორინგის განხორციელებას და შემსყიდველის მიერ უფლებამოსილ პირთან შეთანხმებული პასუხის გაცემას მყისიერად, მისი დადებიდან არაუგვიანეს 1

საათის განმავლობაში (იგულისხმება სამუშაო საათები, ხოლო არასამუშაო საათების დროს - არაუგვიანეს მომდევნო დღის 10:00 საათისა)

შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო საათის განმავლობაში, **შპს დი დი ჯორჯია** შემსყიდველს შესთავაზებს ქარდის ორ ვერსიას;

სოციალურ ქსელში რეკლამის განთავსება განხორციელდება ყოველდღიურად, ხოლო შაბათ-კვირას შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში, რისთვისაც **შპს დი დი ჯორჯიას** მიერ გათვალისწინებული უნდა იყოს:

- 10 (ათი) აშშ დოლარი თითოეული უწყების სოციალური ქსელის გვერდისთვის.
- შემსყიდველის წინასწარი მითითების შესაბამისად შესაძლებელია შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ დღეებში/თვეებში არ განხორციელდეს რეკლამის განთავსება, ასევე შესაძლებელია განთავსებისათვის განკუთვნილი გამოუყენებელი თანხის ოდენობა დაემატოს იმ დღის/დღეების/თვეების განთავსების თანხას, რომელიც განსაზღვრება შემსყიდველის მიერ. სოციალურ ქსელში რეკლამის განთავსების რაოდენობა დადასტურდება ეტაპობრივად, სოციალური ქსელიდან ამოღებული ოფიციალური დოკუმენტით, რომელშიც ასახული იქნება რეკლამაზე გაწეული ხარჯი შემსყიდველის მიერ მოთხოვნილი ზღვარის გათვალისწინებით.

შპს “დი დი ჯორჯია” ყოველი თვის ბოლოს განხორციელებს, გაწეული მომსახურების რეპორტინგს და შედეგების ანალიზს - სოციალურ მედიაში განთავსებული პოსტებისა და თავად გვერდის მუშაობის ანგარიშს; უარყოფითი და დადებითი ტრენდები, რომლებიც გასული თვის მანძილზე გამოიხატა; გეგმა დადებითი ტრენდების შენარჩუნების და უარყოფითთან გამკლავება. **შპს დი დი ჯორჯია** იღებს ვალდებულებას დამკვეთს მიაწოდოს გაწეული სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურების შესახებ ყველა სახის დოკუმენტი, მასალა და ინფორმაცია რომელიც განხორციელდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და მის მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების მონაცემთა შესახებ.

მომსახურების გაწევის ვადა:

2.1. ტექნიკური დავალების 1.1. პუნქტით განსაზღვრული მომსახურების გაწევა შემდეგი შემსყიდველებისთვის:

- საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
- სპეციალური პენიტენციური სამსახური
- სსიპ იუსტიციის სახლი
- სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო
- სსიპ საქართველოს ეროვნული არქივი
- სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო
- სსიპ საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი
- სსიპ დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო

შპს დი დი ჯორჯიას მიერ განხორციელდება, 2020 წლის 1 თებერვლიდან - 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, ყოველდღიურად, ხოლო შაბათ-კვირას შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში, ხოლო სსიპ სმართ ლოჯიქის შემთხვევაში განხორციელდება 2020 წლის 1-ლი მარტიდან - 2020 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით, ყოველდღიურად, ხოლო შაბათ-კვირას შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში.

2.2. ტექნიკური დავალების 1.2. პუნქტით განსაზღვრული მომსახურების გაწევის ვადა თითოეული შემსყიდველისათვის განისაზღვრება დანართით „ფასების ცხრილი“.